დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის №171 , 2020 წლის 23 დეკემბრის №370, 2021 წლის 25 იანვრის №301, 2021 წლის 25 თებერვლის №1225, 2021 წლის 21 სექტემბრის №9532, 2022 წლის 31 მაისის №117816 , 2022 წლის 20 ივნისის № 119397 , 2022 წლის 21 ივნისის № 119550 , 2022 წლის 28 ნოემბრის N139275 და 2023 წლის 26 იანვრის N2818 , 2023 წლის 3 აპრილის №10624, 2023 წლის 4 აპრილის №10704, 2023 წლის 2 ივნისის № 17444, 2023 წლის 11 დეკემბრის №44049, 2024 წლის 25 აპრილის №15167, 2025 წლის 28 მარტის № 19052, 2025 წლის 14 აპრილის N22780 და 2025 წლის 29 აპრილის N26088 ბრძანებებით

პერსონალის შერჩევის წესი

2020 წელი

დოკუმენტის შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. რეგულირების სფერო 3

მუხლი 2. პერსონალის დაგეგმვის მექანიზმები 3

თავი II. აკადემიური პერსონალის შერჩევა 3

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის შემადგენლობა 3

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები 4

მუხლი 5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი 7

მუხლი 6. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და შეფასება 8

მუხლი 7. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები 10

მუხლი 8. კონკურსანტთა შეფასება 11

მუხლი 9. საჩივრის განხილვა 11

თავი III. მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი 12

მუხლი 10. მოწვეული პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები 12

მუხლი 11. მოწვეული პერსონალის შერჩევა 13

მუხლი 12. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უცხო ენის დადასტურება 16

IV თავი. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი 16

მუხლი 13. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები 16

მუხლი 14. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევა 16

მუხლი 15. პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შერჩევა 18

თავი V. სამეცნიერო პერსონალის შერჩევა 18

მუხლი 16. სამეცნიერო პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები 18

თავი VI 20

მუხლი 17. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები 20

დანართი № 1 საჩვენებელი ლექციის შეფასების ფორმა 21

დანართი №2 გასაუბრების შეფასების ფორმა 23

დანართი №3 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გასაუბრების შეფასების ფორმა 24

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

პერსონალის შერჩევის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს - ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების, შერჩევის, არჩევისა და დანიშვნის წესსა და პროცედურას.

მუხლი 2. პერსონალის დაგეგმვის მექანიზმები

პერსონალის სამუშაოზე მიღება ან/და კონკურსის გამოცხადება ხორციელდება პერსონალის დაგეგმვის საფუძველზე, რაც გულისხმობს სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით მათი საჭიროების დადგენას. უნივერსიტეტში პერსონალის დაგეგმვის მექანიზმებია:

ა) ყოველკვარტლურად უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო ნუსხის გადახედვა, ვაკანტური პოზიციების იდენტიფიცირება, საჭიროებისამებრ, საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელება;

ბ) სამუშაო ანალიზის განხორციელება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა პერსონალის ნუსხაში;

გ) საფაკულტეტო დონეზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების მიღება, მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ;

ე) სტრუქტურული ერთეულების მიერ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საკადრო ცვლილების ინიცირება;

ვ) სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში, მისი რაოდენობის გაზრდის საფუძველი შეიძლება გახდეს: ახალი კვლევითი პრიორიტეტის/მიმართულების განსაზღვრა ან არსებულის გაფართოვება, სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მოპოვება ან სადოქტორო პროგრამის დამატება.

თავი I I. აკადემიური პერსონალის შერჩევა

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.
2. პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

3. ასოცირებული პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
4. ასისტენტ-პროფესორი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.
5. ასისტენტი არის უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. თითოეული აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტი ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ესენია:

ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს:

ა.ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ა.ბ) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;

ა.გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს:

ბ.ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ბ.ბ) პირი, რომელსაც შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) აქვს სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;

ბ.გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს:

გ.ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

გ.ბ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით გამოქვეყნებული (ბოლო 5 წლის განმავლობაში) სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები ან არის მათი თანაავტორი;

გ.გ) პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

დ) ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

2. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა დადგენილია სპეციალური მოთხოვნები:

ა) პირი ორ წელიწადში[1] ერთხელ უნდა გადიოდეს ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით;

ბ) კლინიკური დისციპლინების ფარგლებში აკადემიური პერსონალის მიმართ წაყენებულია შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 წელი პედაგოგიური და ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება;

ბ.ბ) ასოცირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წელი პედაგოგიური და ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.გ) ასისტენტ-პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბოლო 3 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.დ) ასისტენტი უნდა იყოს დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში.

დ) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში;

ე) დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დადასტურება.

2[1]. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარდა დადგენილია სპეციალური მოთხოვნები:

ა) პირი რეგულარულად ხუთ წელიწადში[2] ერთხელ უნდა გადიოდეს სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგებს, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით (სწავლის მეთოდები/შეფასების მეთოდები (PBL, DOPS, mini CEX, OSCE, 360, Portfolio) გადაუდებელი დახმარება, ინფექციის კონტროლი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტომატოლოგია, სპეციალური საჭიროების სტომატოლოგია და სხვ.).

ბ) **ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინებ**ის ფარგლებში აკადემიური პერსონალის მიმართ წაყენებულია შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 6 წელი პედაგოგიური და სულ მცირე 9 წელი კლინიკური გამოცდილება;

---

[1] მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნა ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის მიღების დროისთვის პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი ან უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკუთარი რესურსით პერსონალის გადამზადება.

[2] 2023 წლის 16 ნოემბრიდან გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში, მონაწილეობის მიღების დროისთვის პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი ან უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკუთარი რესურსით პერსონალის გადამზადება.

ბ.ბ) ასოცირებულ პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წელი პედაგოგიური და ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.გ) ასისტენტ-პროფესორს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წელი კლინიკური გამოცდილება;

გ.დ) ასისტენტი უნდა იყოს დოქტორანტი კლინიკურ სპეციალობაში, სულ მცირე 3 წლიანი კლინიკური გამოცდილებით.

დ) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი.

ე) სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება ინგლისური ენის შესაბამისი დონის ფლობის დადასტურება.

3. პროფესორის/ასოცირებული ან/და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება ასევე არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ნიშნით შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც შეიძლება დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით/პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პროფესიული ნიშნით) დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგნაირად:

ბ.ა) არანაკლებ 10 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ბ.ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

5. ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (პროფესიული ნიშნით) დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგნაირად:

ბ.ა) არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ბ.ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება.

6. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობისთვის (პროფესიული ნიშნით) დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი;

ბ) დარგში შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, რაც შესაძლებელია დადასტურდეს შემდეგი ნიშნებით:

ბ.ა) არანაკლებ 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

ბ.ბ) პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში) ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის არანაკლებ 1 წლის სამუშაო გამოცდილება.

7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საკონკურსო განაცხადით დაადგინოს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისგან განსხვავებული მოთხოვნები. დამატებით მოთხოვნების დადგენისას ყურადღება ექცევა შემდეგ მახასიათებლებს:

ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში/სემინარებში მონაწილეობა;

გ) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

დ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;

ე) სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები;

ვ) სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა;

ზ) დასრულებული კვლევითი პროექტები;

თ) რედაქტორობა;

ი) გამოცემული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები;

კ) კვალიფიკაციის ამაღლება;

ლ) უცხოური ენის ცოდნა;

მ) სპეციალური მომზადება რაც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სპეციალური კურსების გავლას.

8. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კანდიდატი ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების გარდა დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებსაც.

მუხლი 5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
2. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტთა არჩევა ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და საჩვენებელი ლექციის საფუძველზე.
3. აკადემიურ თანამდებობაზე ასისტენტი, ასისტენტ-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი - აირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო პროფესორი - 5 წლის ვადით. ასოცირებული პროფესორისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 6 წლის ვადით;
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 წლის ვადით;
ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 5 წლის ვადით.

მუხლი 6. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და შეფასება

1. აკადემიური ნიშნით თანამდებობის დაკავების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით. კონკურსანტის მიერ განაცხადი ივსება მხოლოდ ერთ პოზიციაზე/ერთ სფეროში.

ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეზიუმეს ფორმატში.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები (გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) შესაბამისი სილაბუსები(ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსია);

თ) სერტიფიკატის ასლი[3], რომელიც ადასტურებს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგის გავლის ფაქტს (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში); სერტიფიკატის ასლი[4], რომელიც ადასტურებს სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგის გავლის ფაქტს (სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში);

ი) ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კლინიკურ გამოცდილებას (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში);

კ) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში;

კ[1]) დიპლომირებული მედიკოსის და სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთად ჩაითვლება ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის წარმოდგენა:

---

[3] აღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენა ევალებათ 2021 წლიდან, სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.

[4] აღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენა ევალებათ 2023 წლის 16 ნოემბრიდან, სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.

კ[1].ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ[1].ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელების (არანაკლებ 1 წლის განმავლობაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ[1].გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელების (არანაკლებ 1 წლის განმავლობაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

კ[1].დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით;

კ[1].ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.);

კ[1].ვ) სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ენის ფლობის დადასტურება ასევე შესაძლებელია, უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით პროგრამის სწავლების ენის B2 დონის შესაბამისი შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

ლ) დამატებითი მოთხოვნების განსაზღვრის შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადით ხდება დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის/პირობების დაზუსტება.

2. პროფესიული ნიშნით თანამდებობის დაკავების შემთხვევაში:

ა) პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“-,,ე“ და ,,ზ“ ქვეპუნქტებით, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური დისციპლინებისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის **ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების** შემთხვევაში ,,თ-კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“-,,ე“ ქვეპუნქტებით, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური დისციპლინებისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის **ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების** შემთხვევაში ,,თ-კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტები. ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2[1]) პროფესიული ნიშნით გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის კ[1] ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი.

მუხლი 7. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების[5] საფუძველზე, კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განახლების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან/და წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა საბუთების მიღების ვადა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება საკონკურსო განაცხადით. გამოქვეყნებული განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკურსის ჩატარების ეტაპებისა და კონკურსის შედეგების გამოქვეყნების თარიღებისა და სააპელაციო განაცხადის წარმოდგენის ვადების შესახებ.
3. კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი ხდება ხელმისაწვდომი საჯაროდ. კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტი ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
4. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც აფასებს კონკურსანტის მიერ ჩატარებულ საჩვენებელ ლექციას და საჭიროების შემთხვევაში, ატარებს დამატებით გასაუბრებას.
5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან:

   ა) პროგრამის ხელმძღვანელი;

   ბ) დარგის სულ მცირე ერთი სპეციალისტი;

   გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

   დ) კომისიის შემადგენლობაში, შესაძლოა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი ან სხვა მოწვეული პირი.

6. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი ან ინტერესთა კონფლიქტის მქონე პირი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხოლო საკონკურსო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საკონკურსო კომისიის მდივანი, რომელიც ამავდროულად შეიძლება იყოს კომისიის წევრი.
8. აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებებს იღებს და რეგისტრაციაში ატარებს საქმისწარმოების სამსახური საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში.

---

5 აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ დეკანი მოხსენებითი ბარათით მიმართავს რექტორს, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს აძლევს შესაბამის დავალებას პროცესების ადმინისტრირების მიზნით.

მუხლი 8. კონკურსანტთა შეფასება

1. კანონმდებლობის, წინამდებარე წესისა და საკონკურსო განცხადებაში მითითებული პირობების შესაბამისად.
2. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ადამიანური რესურსების მართვის სამსახური საკონკურსო კომისიის დავალებით ახორციელებს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკონკურსო განაცხადით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და წარუდგენს კომისიას. მეორე ეტაპზე გადასულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა დოკუმენტაციაც დადგენილ მოთხოვნებთან იქნება სრულ შესაბამისობაში. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
3. კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსანტი ატარებს საჩვენებელ ლექციას. ინგლისურენოვანი პროგრამისა და ქართულენოვანი პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსის შემთხვევაში, საჩვენებელი ლექცია ტარდება ინგლისურ ენაზე[6]. საჩვენებელი ლექციის შეფასება ხორციელდება ამ წესის დანართი №1-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. კონკურსანტის შეფასება კომისიის თითოეული წევრის მიერ ხორციელდება ცალ-ცალკე, კონკურსანტის საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვის ვალდებულებაც ეკისრებათ კონკურსანტებს არის მაქსიმალურ ქულათა 70%. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი კონკურსანტი დააგროვებს თანაბარ ქულას, კომისია ატარებს დამატებით გასაუბრებას, რომლის შეფასების კრიტერიუმები დადგენილია ამ წესის დანართი №2-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

3[1]. საჩვენებელი ლექციის ვიდეოჩანაწერი ხორციელდება კონკურსანტის თანხმობის საფუძველზე, რომელიც ნადგურდება გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
4. კონკურსის შედეგები აისახება კომისიის ოქმში და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით. რექტორი სამართლებრივ აქტს გამოსცემს კონკურსის შედეგების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 9. საჩივრის განხილვა

1. აკადემიურ კონკურსში მონაწილე კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის გადაწვეტილება გაასაჩივროს მისი გამოქვეყვებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
2. გასაჩივრების შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.

[6] კომისიის წევრები უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას.

3. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შედიან საკონკურსო კომისიის წევრები. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს დარგის სპეციალისტი აკადემიური, მოწვეული პერსონალი ან სხვა მოწვეული პირი.
4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში კომისია განიხილავს სააპელაციო საჩივარს. საკითხის განხილვას უფლებამოსილია დაესწროს კონკურსანტი, რომელმაც გაასაჩივრა საკონკურსო კომისიის შედეგები და ისარგებლოს შემდეგი უფლებებით:

ა) მიიღოს საკონკურსო კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება;
ბ) დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
გ) მიაწოდოს სააპელაციო კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში.

5. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საკონკურსო მასალები, შეისწავლოს დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარის ახსნა - განმარტება და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება საკითხის გასაჩივრებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში:

ა) ძალაში დატოვოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება;
ბ) საკონკურსო კომისიას უკან დაუბრუნოს მასალები ხელახალი განხილვის მიზნით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სააპელაციო კომისიის წევრები.
7. გასაჩივრებული კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ადამიანური რესურსების მართვის სამახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი პირის/პირების შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.
8. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის ან/და სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში.

თავი III. მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი

მუხლი 10. მოწვეული პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები

1. მოწვეული ლექტორი არის შესაბამისი განათლების/კვალიფიკაციის ან კომპეტენციის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და ფლობს სასწავლო კურსის გაძღოლისთვის შესაბამის ცოდნას და უნარებს. მოწვეული ლექტორი

უფლებამოსილია გაუძღვეს სალექციო, სასემინარო/პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

2. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური დისციპლინების ფარგლებში მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბოლო 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება. ხოლო, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის **ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების** ფარგლებში მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს სულ მცირე 3 წლიანი კლინიკური გამოცდილება. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი ორ წელიწადში[7] ერთხელ უნდა გადიოდეს ტრენინგს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატით. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პერსონალი რეგულარულად (5 წელიწადში ერთხელ[8]) უნდა გადიოდეს სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგებს, დადასტურებულს შესაბამისი სერტიფიკატით.

3. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მოწვეული პერსონალი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას შესაბამის დონეზე, რაც შეიძლება დადასტურდეს ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,კ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი დოკუმენტის წარმოდგენით.

4. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით შესაძლებელია მოწვეულ პერსონალად ისეთი პირის აყვანა, რომელსაც აქვს არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, პედაგოგიური საქმიანობის (მათ შორის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების) არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება და პრაქტიკული მუშაობის 1 წლის გამოცდილება. ამასთან, პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით დადგენილ სხვა მოთხოვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 11. მოწვეული პერსონალის შერჩევა

1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ; მოწვეული ლექტორის შერჩევა ხორციელდება ორი გზით:

[7] მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნა ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. 2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შერჩეულ პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგი ან უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საკუთარი რესურსით პერსონალის გადამზადება.

[8] აღნიშნული სერტიფიკატის წარმოდგენა ევალებათ 2023 წლის 16 ნოემბრიდან, სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში უნივერსიტეტი საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს პერსონალის გადამზადებას.

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დეკანთან ერთად უზრუნველყოფს შესაბამისი კანდიდატურის მოძიებას, რომელიც აკმაყოფილებს მე-10 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან ბ) ცხადდება კონკურსი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დადგენილის წესის შესაბამისად ვერ მოხდა კანდიდატის შერჩევა ცხადდება კონკურსი.

2. კანდიდატი, რომელსაც აქვს 2 ან მეტწლიანი პედაგოგიური გამოცდილება გადის გასაუბრებას პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, დეკანთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელთან და ფასდება ამ წესის დანართი №2-ით დადგენილი ფორმის შესაბამისად. კომისია უფლებამოსილია გასაუბრების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, საჩვენებელი ლექციის ჩატარების შესახებ. კანდიდატი, რომელსაც არ აქვს, ან აქვს 2 წელზე ნაკლები პედაგოგიური გამოცდილება ატარებს საჩვენებელ ლექციას კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. კანდიდატის შეფასება ხორციელდება ამ წესის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისად. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ან ქართულენოვან პროგრამებზე ინგლისურენოვანი საგნების შემთხვევაში კანდიდატი ვალდებულია რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის[9] წინაშე ჩაატაროს საჩვენებელი ლექცია ინგლისურ ენაზე, მისი პედაგოგიური გამოცდილების მიუხედავად. თუ კანდიდატს აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს საზღვარგარეთ, ინგლისურ ენაზე, აქვს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება ან ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღებული აქვს ინგლისური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მოქმედი სერთიფიკატი), შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ გასაუბრების ეტაპი.

3. კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში საკონკურსო პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ეტაპები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით. კანდიდატის შეფასება ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საჩვენებელი ლექციის შეფასება კომისიის თითოეული წევრის მიერ ხორციელდება ცალ-ცალკე, კონკურსანტის საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვის ვალდებულებაც ეკისრებათ კონკურსანტებს არის მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 70%. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი კონკურსანტი დააგროვებს თანაბარ ქულას, ტარდება დამატებითი გასაუბრება.

5. მოწვეული პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეზიუმეს ფორმატში.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი

[9] კომისიის წევრები ფლობენ ინგლისურ ენას.

დოკუმენტი); პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

დ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კლინიკურ გამოცდილებას (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში;

ვ) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთად ჩაითვლება ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის წარმოდგენა:

ვ.ა) ინგლისურენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე, 3 წლის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ.ბ) საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში ინგლისურ ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელების (არანაკლებ 1 წლის განმავლობაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ.გ) საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის ინგლისურ ენაზე განხორციელების (არანაკლებ 1 წლის განმავლობაში) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ.დ) ინგლისურენოვანი დიპლომამდელი ან დიპლომისშემდგომი პროგრამის დასრულება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტი;

ვ.ე) ინგლისური ენის, სულ მცირე, B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert, EnglishScore და სხვ.)

6. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შერჩეულ მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომის ხელშეკრულება არაუმეტეს 2 წლის ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა გაფორმდეს შეთანხმების აქტი შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესახებ.

7. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელთანაც შეწყდა შრომითი ურთიერთობა, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა დაინიშნოს მოწვეული ლექტორის პოზიციაზე ამ წესით განსაზღვრული შერჩევის პროცედურების გავლის გარეშე.

8. მოწვეული ლექტორის პოზიციაზე უცხო ენის სპეციალისტის შერჩევის დროს კანდიდატთან გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია წარიმართება ორ ენაზე (ქართულად და იმ უცხო ენაზე, რომლის ფარგლებშიც ხდება ლექტორის შერჩევა). კანდიდატთან გასაუბრების დროს კომისიის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი უცხო ენის სპეციალისტი. ხოლო, კანდიდატის მიერ საჩვენებელი ლექციის ჩატარების დროს, კომისიის შემადგენლობა, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოა შედიოდეს შესაბამისი უცხო ენის სპეციალისტი.

მუხლი 12. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ უცხო ენის დადასტურება

1. არჩეული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება უნივერსიტეტთან შესაძლოა ჩაერთოს ინგლისურენოვანი პროგრამის/ განხორციელების პროცესში, თუ გასაუბრების დროს დაადასტურებს ინგლისური ენის კომპეტენციას კომისის წინაშე. კომისია შედგება შემდეგი პირებისგან: ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ინგლისური ენის სპეციალისტი[10]. თუ კანდიდატს აკადემიური ხარისხი მიღებული აქვს საზღვარგარეთ, ინგლისურ ენაზე, აქვს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება ან ბოლო 2 წლის განმავლობაში მიღებული აქვს ინგლისური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (მოქმედი სერთიფიკატი) არ საჭიროებს გასაუბრებას.
2. აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც შრომით ურთიერთობაში იმყოფება უნივერსიტეტთან და უდასტურდება კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულებით შესაძლოა ჩაერთოს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელების პროცესში თუ ის წარმოადგენს ამ წესის მე-6 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „კ[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დოკუმენტს.

IV თავი. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი

მუხლი 13. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები

უნივერსიტეტში შემუშავებულია ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) სამუშაო აღწერილობები და მათთვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. უნივერსიტეტში არსებობს, როგორც ადმინისტრაციული, ასევე დამხმარე პერსონალი. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ისეთი პერსონალი, რომლის ფუნქციებიც პირდაპირ არ უკავშირდება უნივერსიტეტის ძირითად საქმიანობას.

მუხლი 14. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შერჩევა

1. პერსონალის შესარჩევად გამოიყენება რამდენიმე მეთოდი:
   ა) როტაცია;
   ბ) პერსონალის შერჩევა რეკომენდაციით;
   გ) კონკურსის გამოცხადება.
2. პერსონალის შერჩევას წინ უძღვის ყოველკვარტლურად უნივერსიტეტში სამუშაო ანალიზის ჩატარება, ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო ნუსხის გადახედვა, ვაკანტური პოზიციების იდენტიფიცირება, საჭიროებისამებრ, საშტატო ნუსხაში ცვლილებების განხორციელება ან/და სტრუქტურული ერთეულების მიერ ადმინისტრაციული/დამხმარე

[10] კომისიის წევრები ფლობენ ინგლისურ ენას.

პერსონალის საკადრო ცვლილების ინიცირება. პერსონალის შერჩევის აუცილებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს ვაკანტური ადგილის არსებობითაც. პერსონალის შერჩევა ხორციელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ათანხმებს უნივერსიტეტის რექტორთან.

3. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტის მიერ კონკრეტული პოზიციისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ავტობიოგრაფიის (CV) შესწავლის შემდეგ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ადგენს კანიდიდატის ცოდნისა და უნარების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. შესაბამისობის დადგენის შემდეგ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აორგანიზებს გასაუბრების პროცესს.

4. პერსონალის (არამენეჯერული პოზიცია) შერჩევას უზრუნველყოფს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/დეკანი, რომლის სამსახურშიც ხდება კადრის მოძიება;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

5. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/დეკანის, მათ შორის, ფაკულტეტზე არსებული ცენტრის/ინსტიტუტის ხელმძღვანელის შერჩევას უზრუნველყოფს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) რექტორი;

ბ) კურატორი ვიცე-რექტორი (არსებობის შემთხვევაში);

გ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

ცენტრის/ინსტიტუტის ხელმძღვანელის შერჩევის დროს ჯგუფის შემადგენლობას ემატება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.

6. ვიცე-რექტორის შერჩევის შემთხვევაში გასაუბრება ტარდება რექტორისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მონაწილეობით, ხოლო რექტორის შერჩევას და მასთან გასაუბრების ჩატარებას უზრუნველყოფენ დაწესებულების პრეზიდენტი და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი. რექტორი ვალდებულია წარმოადგინოს უნივერსიტეტის განვითარების გეგმა, ხოლო ვიცე-რექტორი მისი საკურატორო მიმართულების შესაბამისად წარმოადგენს შესაბამის განვითარების გეგმას.

7. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის გზით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ასევე, საჭიროებისამებრ, დასაქმების ვებ - გვერდებზე უზრუნველყოფს ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში პერსონალთან (გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული პირებისა) გასაუბრება ტარდება ამ წესის დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი კონკურსანტი დააგროვებს თანაბარ ქულას, ტარდება

დამატებითი გასაუბრება. გასაუბრების ეტაპის გარდა, დამატებით შეიძლება დადგინდეს კონკურსანტის შერჩევის სხვა ეტაპი/ეტაპები, რაც განისაზღვრება საკონკურსო განაცხადით.

9. უნივერსიტეტში ახალი თანამშრომელი, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მიიღება არაუმეტეს 6 თვიანი გამოსაცდელი ვადით, მისი უნარებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე, ორგანიზაციის კულტურასა და დაკავებულ თანამდებობის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით. გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ ხდება 1 წლიანი ხელშეკრულების დადება.

მუხლი 15. პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შერჩევა

1. პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა რამდენიმე ეტაპიანი პროცესია. პირველ ეტაპზე ხდება პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საჭიროების განსაზღვრა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ. შემდეგ ეტაპზე, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევი პროცესის ორგანიზების მიზნით მიმართავს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ[11] პერსონალს ელექტრონულ ფოსტაზე უგზავნის სამუშაო აღწერილობას შეთავაზების ფორმაში, რათა მონაწილეობა მიიღონ შერჩევის პროცესში.
2. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს ავტობიოგრაფია და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ხედვა. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ავტობიოგრაფიაში ასახული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისათვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე და თითოეულ კანდიდატს ცალ-ცალკე ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ხმა. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შერჩეული კანდიდატურა დეკანის მიერ დასანიშნად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. იმ შემთხვევაში, თუ ვერ განხორციელდა პროგრამის თანახელმძღვანელის შერჩევა, კანდიდატურის მოძიება ხდება გაწეული რეკომენდაციის ან კონკურსის გზით.

თავი V. სამეცნიერო პერსონალის შერჩევა

მუხლი 16. სამეცნიერო პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნები

[11] *თანახელმძღვანელის შემთხვევაში შეთავაზების გაგზავნა შესაძლებელია, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისთვის. პროგრამის ხელმძღვანელის შემთხვევაში კი შეთავაზება ეგზავნება, მხოლოდ აკადემიურ პერსონალს.*

1. უნივერსიტეტში ფაკულტეტებზე შექმნილია კვლევითი ინსტიტუტები. კვლევით ინსტიტუტებში არსებობს შემდეგი თანამდებობები: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და მეცნიერ თანამშრომელი.

2. მთავარ მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

3. უფროს მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

4. მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი.

5. სამეცნიერო პერსონალის შერჩევა ხორციელდება დახურული კონკურსის გზით რომელიც ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელების წარდგინების საფუძველზე. კონკურსის ვადები, ეტაპები, დამატებითი მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით), უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეზიუმეს ფორმატში.

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი); კვლევითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები.

7. სამეცნიერო პერსონალი[12]თანამდებობაზე აირჩევა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადით.

8. სამეცნიერო პერსონალის, უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში, ავტომატურად წყდება მხარეებს შორის სამეცნიერო თანამდებობაზე გაფორმებული ხელშეკრულება.

[12] *სამეცნიერო პერსონალი არის ევროპის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი*

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

1. მოწვეული პერსონალი, რომელიც ამ წესის ძალაში შესვლამდე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ევროპის უნივერსიტეტთან და აკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს არ საჭიროებს ამ წესით განსაზღვრული შერჩევის პროცედურების განმეორებით გავლას.
2. ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული აკადემიური კონკურსი ჩაითვალოს ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გამოცხადებულად.
3. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა 2023 წლის 31 დეკემბრამდე მიიღოს შესაბამისი ზომები და დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან გამოითხოვოს ინგლისური ენის ფლობის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
4. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2025 წლის 16 ნოემბრისა მიიღოს შესაბამისი ზომები და სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისგან გამოითხოვოს ინგლისური ენის ფლობის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
5. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა არაუგვიანეს 2024 წლის 16 ნოემბრისა მიიღოს შესაბამისი ზომები და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისგან (სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედებამდე დანიშნული) გამოითხოვოს სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგიაში ტრენინგების გავლის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დანართი № 1 საჩვენებელი ლექციის შეფასების ფორმა

საჩვენებელი ლექციის შეფასების ფორმა		
თარიღი:		**პოზიციის დასახელება:**

გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ფორმა, როგორც სახელმძღვანელო, განმცხადებლის კვალიფიკაციის პოზიციასთან შესაბამისობის შეფასებისათვის. განსაზღვრეთ, შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობის შესაბამისობა განმცხადებლის კვალიფიკაციის დონესთან და მიუთითეთ სათანადო კომენტარი შესაბამის ველში.

N	სახელი, გვარი	სასწავლო კურსის თემატიკის ცოდნა	გამბული/თამბიმდევრული თხრობა	გარკვევით საუბარი	აუდიტორიასთან კონტაქტი	ინტერაქტიული კომუნიკაცია	სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა	ლექციის გამოყენებული მეთოდები	მსვლელობისას სწავლების შეკითხვებზე პასუხის გაცემის უნარი	**ქულათა ჯამი/ საშუალო**	კომენტარები*
1											

*თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ბალიან შკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი; 2 - დამაკმაყოფილებელი; 1 - სუსტი) სასურველია ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა.

კომისიის წევრი	სახელი, გვარი	ხელმოწერა

დანართი №2 გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების თარიღი		პოზიციის დასახელება	

სახელი, გვარი	**ზეპირი კომუნიკაციის უნარი**	**პასუხების დამაჯერებლობა**	**კრიტიკული მიზნები/მოტივაცია**	**ანალიტიკური აზროვნების უნარი**	**დარგის სპეციფიკის ცოდნა**	**უცხო ენა[13]**	**ზოგადი შთაბეჭდილება**	**ქულათა ჯამი**	**კომენტარი**
კანდიდატი									

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - სუსტი. სასურველია ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურ ქულათა 70%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

[13] *საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ენ(ებ)ის ცოდნა. თუ საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, კონკურსანტს არ მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა, შეფასების პროცესში მხედველობაში არ მიიღება გასაუბრების შეფასების ფორმით განსაზღვრული უცხო ენის შეფასების კომპონენტი და ქულათა გამოთვლის დროს არ დაანგარიშდება აღნიშნული კომპონენტისთვის მინიჭებული ქულა.*

დანართი №3 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების თარიღი		პოზიციის დასახელება	

სახელი, გვარი	**დარგობრივი კომპეტენცია**	**შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობა**	**კომუნიკაციის უნარი**	**დროის მენეჯმენტი**	**კარიერული მიზნები/მოტივაცია**	**პრობლემის გადაჭრის უნარი**	**ანალიტიკური აზროვნების უნარი**	**სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი**	**უცხო ენა[1][14]**	**Total Points**	**კომენტარი**
კანდიდატი											

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3 ბალიან სკალაზე, სადაც 3 მაქსიმალური, ხოლო 1 მინიმალური შეფასებაა (3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - სუსტი. სასურველია ქულას ახლდეს მოკლე განმარტება/აღწერა. კანდიდატმა უნდა დააგროვოს მაქსიმალურ ქულათა 70%. ქულების გამოთვლა ხორციელდება შემფასებლების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

[14] საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ენ(ებ)ის ცოდნა